

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
„საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება  
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

31 დეკემბერი 2021

## შინაარსი

|                                                                                                       |    |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის..... | 5  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....                           | 6  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....                   | 7  |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.                  | 8  |
| 1. ზოგადი ინფორმაცია .....                                                                            | 9  |
| 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები .....                            | 9  |
| 3. მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები .....                                                        | 15 |
| 4. შემოსავალი და გაწეული სამუშაოს და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....                       | 16 |
| 5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....                                                             | 20 |
| 6. მოგების გადასახადის ხარჯი.....                                                                     | 20 |
| 7. ძირითადი საშუალებები .....                                                                         | 21 |
| 8. საინვესტიციო ქონება .....                                                                          | 22 |
| 9. არამატერიალური აქტივები.....                                                                       | 22 |
| 10. მარაგები .....                                                                                    | 23 |
| 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....                                                                   | 23 |
| 12. ფული და ფულის ექვივალენტები .....                                                                 | 24 |
| 13. საწესდებო კაპიტალი.....                                                                           | 24 |
| 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                                                               | 24 |
| 15. წმინდა საგადასახადო პოზიცია.....                                                                  | 25 |
| 16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან .....                                                        | 25 |
| 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები .....                                       | 25 |

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1-ის“ მფლობელებს და მენეჯმენტს.

### **პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1-ს“ (შემდგომში „კომპანია“) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრებების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

### **პირობითი მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავაკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 2,463,174 ლარის და 2,166,257 ლარი ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ და შესადრის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესსს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს გემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ გემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს გემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2022 წლის 28 სექტემბრით.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მის ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვათაგან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

28 სექტემბერი 2022

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1-ის“ მფლობელებს და მენეჯმენტს.

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1-ს“ (შემდგომში „კომპანია“) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხის შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა დავაკვირვებოდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წლის დასაწყისში არსებული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორეში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 2,463,174 ლარის და 2,166,257 ლარი ღირებულებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალური ფასეულობებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ და შესადრის ნაშთებზე მოდიფიცირებულია.

**THE POWER OF BEING UNDERSTOOD**  
AUDIT | TAX | CONSULTING

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობის ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობის ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2022 წლის 28 სექტემბრით.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

*RSM Georgia*

28 სექტემბერი 2022




შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

|                                                             | შენიშვნა | 2021               | 2020             |
|-------------------------------------------------------------|----------|--------------------|------------------|
| შემოსავალი                                                  | 4        | 20,014,867         | 29,287,188       |
| განუვლი სამუშაოს და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება | 4        | (18,899,520)       | (25,901,699)     |
| <b>საერთო მოგება</b>                                        |          | <b>1,115,347</b>   | <b>3,385,489</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                           | 5        | (2,444,748)        | (2,603,415)      |
| ცვლილება რეზერვებში                                         | 11       | (489,449)          | 134,954          |
| სხვა შემოსავლები                                            |          | 40,141             | 95,605           |
| წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)                     |          | 224,577            | 4,866            |
| <b>(ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე</b>                          |          | <b>(1,554,132)</b> | <b>1,017,499</b> |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                   | 6        | (29,000)           | (13,667)         |
| <b>წლის (ზარალი)/მოგება</b>                                 |          | <b>(1,583,132)</b> | <b>1,003,832</b> |
| სხვა სრული შემოსავალი                                       |          | -                  | -                |
| <b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>                            |          | <b>(1,583,132)</b> | <b>1,003,832</b> |

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.

|                      |                |       |
|----------------------|----------------|-------|
| გენერალური დირექტორი | შოთა აბულაძე   | _____ |
| მთავარი ბუღალტერი    | ზურა სამხარაძე | _____ |
|                      |                | _____ |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო NI“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

|                                                             | შენიშვნა | 2021         | 2020         |
|-------------------------------------------------------------|----------|--------------|--------------|
| შემოსავალი                                                  | 4        | 20,014,867   | 29,287,188   |
| გაწეული სამუშაოს და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება | 4        | (18,899,520) | (25,901,699) |
| საერთო მოგება                                               |          | 1,115,347    | 3,385,489    |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                           | 5        | (2,444,748)  | (2,603,415)  |
| ცვლილება რეზერვებში                                         | 11       | (489,449)    | 134,954      |
| სხვა შემოსავლები                                            |          | 40,141       | 95,605       |
| წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)                     |          | 224,577      | 4,866        |
| (ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე                                 |          | (1,554,132)  | 1,017,499    |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                   | 6        | (29,000)     | (13,667)     |
| წლის (ზარალი)/მოგება                                        |          | (1,583,132)  | 1,003,832    |
| სხვა სრული შემოსავალი                                       |          | -            | -            |
| სულ წლის სრული შემოსავალი                                   |          | (1,583,132)  | 1,003,832    |


ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე

ქართულ ღარში

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| შენიშვნა                             |    | 31 დეკემბერი 2021 | 31 დეკემბერი 2020 |
|--------------------------------------|----|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                      |    |                   |                   |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>         |    |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                 | 7  | 4,014,546         | 4,443,485         |
| საინვესტიციო ქონება                  | 8  | 194,080           | 204,232           |
| არამატერიალური აქტივები              | 9  | 45,358            | 53,362            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>     |    | <b>4,253,984</b>  | <b>4,701,079</b>  |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>         |    |                   |                   |
| მარაგები                             | 10 | 2,463,174         | 2,166,257         |
| საგადასახადო აქტივი                  | 15 | 121,740           | -                 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 11 | 2,861,361         | 4,174,046         |
| ფული და ფულის ექვივალენტები          | 12 | 1,049,778         | 1,740,914         |
| სხვა აქტივები                        |    | 1,868             | 7,592             |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>     |    | <b>6,497,921</b>  | <b>8,088,809</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                  |    | <b>10,751,905</b> | <b>12,789,888</b> |
| <b>კაპიტალი</b>                      |    |                   |                   |
| საწესდებო კაპიტალი                   | 13 | 1,070,349         | 1,070,349         |
| გაუნაწილებელი მოგება                 |    | 5,332,299         | 7,973,327         |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |    | <b>6,402,648</b>  | <b>9,043,676</b>  |
| <b>ვალდებულებები</b>                 |    |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        | 14 | 4,280,092         | 3,560,527         |
| მოკლევადიანი სესხები                 |    | 69,165            | -                 |
| საგადასახადო ვალდებულება             | 15 | -                 | 185,685           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>             |    | <b>4,349,257</b>  | <b>3,746,212</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |    | <b>10,751,905</b> | <b>12,789,888</b> |


ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე



შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

|                                         | შენიშვნა | მფლობელთა<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი     |
|-----------------------------------------|----------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის</b> |          | <b>1,070,349</b>      | <b>7,450,549</b>        | <b>8,520,898</b> |
| წლის მოგება                             |          | -                     | 1,003,832               | 1,003,832        |
| გაცემული დივიდენდი                      | 13       | -                     | (481,054)               | (481,054)        |
| <b>ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის</b> |          | <b>1,070,349</b>      | <b>7,973,327</b>        | <b>9,043,676</b> |
| წლის მოგება                             |          | -                     | (1,583,132)             | (1,583,132)      |
| გაცემული დივიდენდი                      | 13       | -                     | (1,057,896)             | (1,057,896)      |
| <b>ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის</b> |          | <b>1,070,349</b>      | <b>5,332,299</b>        | <b>6,402,648</b> |

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.

|                      |                |       |
|----------------------|----------------|-------|
| გენერალური დირექტორი | შოთა აბულაძე   | _____ |
| მთავარი ბუღალტერი    | ზურა სამხარაძე | _____ |
|                      |                | _____ |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

|                                  | შენიშვნა | მფლობელთა<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი |
|----------------------------------|----------|-----------------------|-------------------------|--------------|
| ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის |          | 1,070,349             | 7,450,549               | 8,520,898    |
| წლის მოგება                      |          | -                     | 1,003,832               | 1,003,832    |
| გაცემული დივიდენდი               | 13       | -                     | (481,054)               | (481,054)    |
| ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის |          | 1,070,349             | 7,973,327               | 9,043,676    |
| წლის მოგება                      |          | -                     | (1,583,132)             | (1,583,132)  |
| გაცემული დივიდენდი               | 13       | -                     | (1,057,896)             | (1,057,896)  |
| ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის |          | 1,070,349             | 5,332,299               | 6,402,648    |


ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე





შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

|                                                     | შენიშვნა | 2021        | 2020        |
|-----------------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:           |          |             |             |
| (ზარალი)/მოგება დაბეგვრამდე                         |          | (1,554,132) | 1,017,499   |
| კორექტირებები:                                      |          |             |             |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                | 7-8-9    | 606,575     | 695,093     |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული მოგება    | 7        | (70,072)    | -           |
| უიმედო ვალების რეზერვის ცვლილება                    | 11       | 489,449     | (134,954)   |
| საპროცენტი შემოსავალი                               | 12       | (15,738)    | (8,360)     |
| საპროცენტო ხარჯი                                    |          | 83,428      | -           |
| ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:  |          |             |             |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                | 11       | 823,236     | (1,922,252) |
| ცვლილება მარაგებში                                  | 10       | (296,917)   | (202,166)   |
| ცვლილება სხვა აქტივებში                             |          | 5,724       | 2,114       |
| ცვლილება წმინდა საგადასახადო პოზიციაში              | 15       | (307,425)   | (287,084)   |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში             | 14       | 719,565     | 1,342,213   |
| სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში |          | 483,693     | 502,103     |
| მიღებული პროცენტი                                   | 12       | 15,738      | 8,360       |
| გადახდილი პროცენტი                                  |          | (83,428)    | -           |
| გადახდილი მოგების გადასახადი                        | 6        | (29,000)    | (4,710)     |
| საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფული   |          | 387,003     | 505,753     |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან          |          |             |             |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                        | 7        | (193,098)   | (767,417)   |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული      | 7        | 103,690     | -           |
| საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული         |          | (89,408)    | (767,417)   |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან             |          |             |             |
| გადახდილი დივიდენდები                               | 13       | (1,057,896) | (481,054)   |
| მოკლევადიანი სესხის აღება/(გადახდა)                 |          | 69,165      | -           |
| ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული             |          | (988,731)   | (481,054)   |
| ფულისა და ფულის ექვივალენტების (შემცირება)/ზრდა     |          | (691,136)   | (742,718)   |
| ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში         | 12       | 1,740,914   | 2,483,632   |
| ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს              | 12       | 1,049,778   | 1,740,914   |

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 28 სექტემბერს.

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

## **1. ზოგადი ინფორმაცია**

შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია „№1 საგზაო-სამშენებლო სამმართველო“ დაფუძნდა 1995 წელს. 1998 წლის 8 მაისს განხორციელდა აღნიშნული ორგანიზაციის პრივატიზაცია და დღეის მდგომარეობით მას ეწოდება შპს „საგზაო-სამშენებლო სამმართველო N1“. კომპანია დარეგისტრირებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის თანახმად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, მათ შორის: გზების, ხიდების, ნაპირგამაგრებითი ნაგებობების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია, გზების პერიოდული რემონტი და შენახვა. ძირითადი დამკვეთი არის სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ. კომპანიის 50%-იან წილს ფლობს შოთა აბულაძე, ხოლო ნუგზარ და ნუკრი აბალაყები 25-25%-ს.

## **2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი-ის“) საფუძველზე.

### ***შემოსავლის და ხარჯის აღიარება***

#### ***(ა) შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან***

როდესაც შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ამ მეთოდს ხშირად უწოდებენ პროცენტული შესრულების მეთოდს). კომპანია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის შეფასებას საიმედოს უწოდებს, როდესაც შესაძლებელია სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება.

პროცენტული შესრულების მეთოდი გამოიყენება სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარებისთვის. კომპანია ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, პერიოდულად გადახედავს და, თუ აუცილებელია, ცვლის ამონაგებისა და დანახარჯების შეფასებებს, მომსახურების გაწევის ოპერაციების, ან სამშენებლო ხელშეკრულებების სამუშაოების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

კომპანია ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადიას განსაზღვრავს ისეთი მეთოდით, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა, კერძოდ შესრულებული სამუშაოების გამოკვლევის მეთოდით.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დამკვეთებისგან მიღებული ეტაპობრივად გადახდილი თანხები ან ავანსები, ხშირ შემთხვევაში, არ ასახავს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

კომპანია აქტივად აღიარებს მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული დანახარჯებს, როგორცაა, მაგალითად მასალებზე დანახარჯი, ან გადახდილი ავანსი, თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული დანახარჯი მთლიანად ანაზღაურდება.

კომპანია მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებს ნებისმიერი დანახარჯს, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელი არ არის.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

(ა) კომპანია აღიარებს მხოლოდ ამონაგების ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

(ბ) სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარებს იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადაატარებებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც კომპანიას უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, კომპანია ამგვარ თანხას აღიარებს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირებად.

#### ***(ბ) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან***

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

**(გ) შემოსავალი მომსახურების განწევდან**

როდესაც ოპერაცია მომსახურების განწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების განწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ზოგჯერ ამ მეთოდს უწოდებენ პროცენტული შესრულების მეთოდს).

მომსახურების განწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

**(დ) საოპერაციო ხარჯები**

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

**საოპერაციო იჯარა - მოიჯარე**

ჩვეულებრივი იჯარის დროს მოიჯარემ საიჯარო გადასახდელები ხარჯად უნდა აღიაროს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- (ა) სხვა სისტემატური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების პერიოდულობას/ გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს ამავე გრაფიკს; ან
- (ბ) მეიჯარისთვის გადასახდელი თანხები სტრუქტურიზებულია იმგვარად, რომ უნდა გაიზარდოს მოსალოდნელი საერთო ინფლაციის დონის შესაბამისად (გამოქვეყნებული ინდექსების ან სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად), რათა მეიჯარეს აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მოსალოდნელი დანახარჯების გაზრდა.

თუ მეიჯარისთვის გადასახდელი თანხები იცვლება საერთო ინფლაციის გარდა რომელიმე სხვა ფაქტორის მიხედვით, მაშინ (ბ) პირობა არ მიიჩნევა დაკმაყოფილებულად.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

### **საოპერაციო იჯარა - მეიჯარე**

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარეებმა საიჯარო აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა წარადგინონ აქტივის ბუნების შესაბამისად.

ჩვეულებრივი იჯარის დროს, მეიჯარემ საიჯარო შემოსავალი უნდა აღიაროს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) მოგებაში ან ბარალში წრფივი მეთოდით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

(ა) სხვა სისტემატური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების პერიოდულობას/ გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს ამავე გრაფიკს; ან

(ბ) მეიჯარისთვის გადასახდელი თანხები სტრუქტურიზებულია იმგვარად, რომ უნდა გაიზარდოს მოსალოდნელი საერთო ინფლაციის დონის შესაბამისად (გამოქვეყნებული ინდექსების ან სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად), რათა მეიჯარეს აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მოსალოდნელი დანახარჯების გაზრდა.

თუ მეიჯარისთვის გადასახდელი თანხები იცვლება საერთო ინფლაციის გარდა რომელიმე სხვა ფაქტორის მიხედვით, მაშინ (ბ) პირობა დაკმაყოფილებულად არ მიიჩნევა.

მეიჯარემ ხარჯის სახით უნდა აღიაროს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, მათ შორის, ცვეთა. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტური უნდა იყოს სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის

მეიჯარემ საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას უნდა დაუმატოს ჩვეულებრივი იჯარის პირობების მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით გაწეული პირდაპირი დანახარჯები და ამგვარი დანახარჯები აღიაროს ხარჯად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში იმავე მეთოდით, რომელსაც იყენებს საიჯარო შემოსავლისთვის

იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარემ უნდა გამოიყენოს მსს ფასის 27-ე განყოფილების მოთხოვნები.

მეიჯარე მწარმოებელი ან დილერი ჩვეულებრივი იჯარის დროს არ აღიარებს გაყიდვიდან მოგებას, რადგან ჩვეულებრივი იჯარა არ არის აქტივის გაყიდვის ეკვივალენტური

### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მოგება-ზარალის ნაწილში.

|                                       | აშშ დოლარი | ევრო |
|---------------------------------------|------------|------|
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3,10       | 3,50 |
| გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს | 3,27       | 4,02 |
| გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 2.86       | 3.20 |

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაციები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება 31 დღეს მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას, მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

### **მოგების გადასახადი**

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98<sup>1</sup>-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

### **საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები**

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

### **ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება**

ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებას შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 14%-დან 20%-მდე განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

### **არამატერიალური აქტივები**

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შეძენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15% ოდენობით.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება ზარალის ანგარიშის სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### **მარაგები**

მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

### ***ხარჯების აღიარება***

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწვევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **3. მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები**

ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობას არ დასჭირვებია გაეკეთებინა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულისა (მაგალითად, შემოსავლის აღიარება, ცვეთის და ამორტიზაციის ნორმების განსაზღვრა, უიმედო ვალების ანარიცხის განსაზღვრა), რომლებსაც ექნებოდათ არსებითი ზეგავლენა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებსა, ხარჯებზე და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

#### 4. შემოსავალი და გაწეული სამუშაოს და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                          | 2021                | 2020                |
|------------------------------------------|---------------------|---------------------|
| შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან     | 18,006,782          | 27,540,273          |
| შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან       | 2,008,085           | 1,128,907           |
| შემოსავალი სხვა მომსახურებიდან           | -                   | 618,008             |
| <b>სულ შემოსავალი</b>                    | <b>20,014,867</b>   | <b>29,287,188</b>   |
| სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები* | (17,622,748)        | (24,917,954)        |
| რეალიზებული მასალების თვითღირებულება     | (1,276,772)         | (983,745)           |
| <b>სულ დაკავშირებული ხარჯები</b>         | <b>(18,899,520)</b> | <b>(25,901,699)</b> |
| <b>საერთო მოგება</b>                     | <b>1,115,347</b>    | <b>3,385,489</b>    |

#### \* სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები

|                                          | 2021              | 2020              |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| გამოყენებული მასალები                    | 12,319,387        | 6,393,713         |
| თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურება     | 2,751,617         | 2,847,920         |
| კონტრაქტორებისგან შესყიდული სერვისები    | 210,474           | 13,431,117        |
| იჯარა და კომუნალური ხარჯები              | 1,158,427         | 803,049           |
| ცვეთის ხარჯი                             | 598,571           | 667,768           |
| რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი | 469,639           | 574,499           |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი         | 105,957           | 167,404           |
| სხვა პირდაპირი ხარჯები                   | 8,676             | 32,484            |
| <b>სულ</b>                               | <b>17,622,748</b> | <b>24,917,954</b> |

2021 წელს მიმდინარე პროექტებზე საკონტრაქტო მოთხოვნა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,318,554 ლარს, საიდანაც 233,473 ლარი არის საგარანტიო თანხები, ხოლო 1,085,081 ლარი კი მიმდინარე შესრულებების მოთხოვნები. ამასთან, ამავე თარიღის მდგომარეობით კომპანიას აქვს 374,234 ლარის საგარანტიო მოთხოვნები პროექტებზე, რომლებიც დასრულდა 2020 წელს.

2020 წელს მიმდინარე პროექტებზე საკონტრაქტო მოთხოვნა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,429,485 ლარს, საიდანაც 591,846 ლარი არის საგარანტიო თანხები, ხოლო 1,837,639 ლარი კი მიმდინარე შესრულებების მოთხოვნები. ამასთან, ამავე თარიღის მდგომარეობით კომპანიას აქვს 624,978 ლარის საგარანტიო მოთხოვნები პროექტებზე, რომლებიც დასრულდა 2019 წელს.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
ფინანსური ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

| 2021 წლის პროექტები                                    | პროექტი<br>#30 | პროექტი<br>#2    | პროექტი<br>#1    | პროექტი<br>#12 | #3               | #4                 | #5             | #6             | #7             | #8             |
|--------------------------------------------------------|----------------|------------------|------------------|----------------|------------------|--------------------|----------------|----------------|----------------|----------------|
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 3,500,632      | 6,935,532        | 3,771,365        | 880,785        | 986,029          | 977,563            | 407,824        | 624,562        | 631,909        | 635,765        |
| აღიარებული წინა პერიოდებში                             | 2,932,618      | 1,335,591        | 1,010,713        | 433,299        | -                | -                  | -              | -              | -              | -              |
| <b>წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან</b>       | <b>568,014</b> | <b>5,599,941</b> | <b>2,760,652</b> | <b>447,486</b> | <b>986,029</b>   | <b>977,563</b>     | <b>407,824</b> | <b>624,562</b> | <b>631,909</b> | <b>635,765</b> |
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 3,076,762      | 6,770,123        | 3,286,792        | 799,766        | 965,000          | 956,714            | 399,127        | 611,242        | 618,433        | 622,206        |
| შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში                | 2,520,862      | 1,289,614        | 585,017          | 361,823        | -                | -                  | -              | -              | -              | -              |
| <b>წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე</b>            | <b>555,900</b> | <b>5,480,509</b> | <b>2,701,775</b> | <b>437,943</b> | <b>965,000</b>   | <b>956,714</b>     | <b>399,127</b> | <b>611,242</b> | <b>618,433</b> | <b>622,206</b> |
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 3,076,762      | 6,770,123        | 3,286,792        | 799,766        | 965,000          | 956,714            | 399,127        | 611,242        | 618,433        | 622,206        |
| <b>საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება</b>      | <b>423,870</b> | <b>165,408</b>   | <b>484,573</b>   | <b>81,020</b>  | <b>21,029</b>    | <b>20,849</b>      | <b>8,698</b>   | <b>13,320</b>  | <b>13,477</b>  | <b>13,559</b>  |
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 3,500,632      | 6,935,532        | 3,771,365        | 880,785        | 986,029          | 977,563            | 407,824        | 624,562        | 631,909        | 635,765        |
| შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით                  | (3,500,632)    | (6,526,335)      | (3,261,655)      | (819,194)      | (1,117,910)      | (2,599,669)        | (383,763)      | (606,138)      | (613,268)      | (598,255)      |
| დღგ განაკვეთი                                          | 18%            | 18%              | 18%              | 18%            | 18%              | 18%                | 18%            | 18%            | 18%            | 18%            |
| <b>საკონტრაქტო მოთხოვნა</b>                            | <b>-</b>       | <b>409,196</b>   | <b>509,710</b>   | <b>61,591</b>  | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>24,062</b>  | <b>18,425</b>  | <b>18,641</b>  | <b>37,510</b>  |
| <b>საკონტრაქტო ვალდებულება</b>                         | <b>-</b>       | <b>-</b>         | <b>-</b>         | <b>-</b>       | <b>(131,881)</b> | <b>(1,622,106)</b> | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       |
| პროექტის დასრულების სტადია                             | <b>99%</b>     | <b>76%</b>       | <b>78%</b>       | <b>100%</b>    | <b>48%</b>       | <b>14%</b>         | <b>89%</b>     | <b>100%</b>    | <b>100%</b>    | <b>75%</b>     |

| 2021 წლის პროექტები (გაგრძელება)                       | #9             | #10            | #11            | #13            | #14            | #15            | #16            | #17              | სხვა           | სულ                |
|--------------------------------------------------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|----------------|------------------|----------------|--------------------|
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 242.136        | 420.240        | 296.140        | 355.092        | 224.952        | 371.185        | 273.099        | 1.728.683        | 455.508        | 23.719.003         |
| აღიარებული წინა პერიოდებში                             | -              | -              | -              | -              | -              | -              | -              | -                | -              | 5.712.221          |
| <b>წლის შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან</b>       | <b>242.136</b> | <b>420.240</b> | <b>296.140</b> | <b>355.092</b> | <b>224.952</b> | <b>371.185</b> | <b>273.099</b> | <b>1.728.683</b> | <b>455.508</b> | <b>18.006.782</b>  |
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 236.972        | 411.278        | 289.824        | 347.519        | 220.154        | 363.268        | 267.275        | 1.691.815        | 445.793        | 22.380.064         |
| შემცირებული: აღიარებული წინა პერიოდებში                | -              | -              | -              | -              | -              | -              | -              | -                | -              | 4.757.316          |
| <b>წლის ხარჯები სამშენებლო კონტრაქტებზე</b>            | <b>236.972</b> | <b>411.278</b> | <b>289.824</b> | <b>347.519</b> | <b>220.154</b> | <b>363.268</b> | <b>267.275</b> | <b>1.691.815</b> | <b>445.793</b> | <b>17.622.748</b>  |
| დღემდე აღიარებული სამშენებლო კონტრაქტების ხარჯები      | 236.972        | 411.278        | 289.824        | 347.519        | 220.154        | 363.268        | 267.275        | 1.691.815        | 445.793        | 22.380.064         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება</b>      | <b>5.164</b>   | <b>8.963</b>   | <b>6.316</b>   | <b>7.573</b>   | <b>4.798</b>   | <b>7.916</b>   | <b>5.824</b>   | <b>36.868</b>    | <b>9.715</b>   | <b>1.338.939</b>   |
| დღემდე აღიარებული შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან | 242.136        | 420.240        | 296.140        | 355.092        | 224.952        | 371.185        | 273.099        | 1.728.683        | 455.508        | 23.719.003         |
| შემცირება: მიღებული ფულადი გადახდებით                  | (234.993)      | (407.843)      | (287.404)      | (344.617)      | (211.680)      | (360.235)      | (255.259)      | (1.656.821)      | (368.767)      | (24.154.436)       |
| დღგ განაკვეთი                                          | 18%            | 18%            | 18%            | 18%            | 18%            | 18%            | 18%            | 18%              | 18%            | 18%                |
| <b>საკონტრაქტო მოთხოვნა</b>                            | <b>7.143</b>   | <b>12.397</b>  | <b>8.736</b>   | <b>10.475</b>  | <b>13.272</b>  | <b>10.950</b>  | <b>17.841</b>  | <b>71.862</b>    | <b>86.742</b>  | <b>1.318.554</b>   |
| <b>საკონტრაქტო ვალდებულება</b>                         | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>         | <b>-</b>       | <b>(1.753.987)</b> |
| პროექტის დასრულების სტადია                             | <b>97%</b>     | <b>100%</b>    | <b>100%</b>    | <b>100%</b>    | <b>60%</b>     | <b>100%</b>    | <b>33%</b>     | <b>49%</b>       | <b>100%</b>    |                    |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

| 2020 წლის<br>პროექტები                                       | პროექტი #<br>1   | პროექტი<br># 2   | პროექტი<br># 3 | პროექტი<br># 4 | პროექტი #<br>5 | პროექტი #<br>6  | პროექტი #<br>7 | პროექტი<br># 8 | პროექტი<br># 9  | პროექტი<br># 10 | პროექტი<br># 11 | პროექტი<br># 12 | პროექტი<br># 13 | პროექტი #<br>14 |
|--------------------------------------------------------------|------------------|------------------|----------------|----------------|----------------|-----------------|----------------|----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|
| დღემდე აღიარებული<br>შემოსავალი სამშენებლო<br>კონტრაქტებიდან | 1,010,713        | 1,335,591        | 561,348        | 361,024        | 476,612        | 303,050         | 754,420        | 300,850        | 471,290         | 247,078         | 399,355         | 433,299         | 429,539         | 167,019         |
| აღიარებული წინა პერიოდებში                                   | -                | -                | -              | -              | -              | -               | -              | -              | -               | -               | -               | -               | -               | -               |
| <b>წლის შემოსავალი სამშენებლო<br/>კონტრაქტებიდან</b>         | <b>1,010,713</b> | <b>1,335,591</b> | <b>561,348</b> | <b>361,024</b> | <b>476,612</b> | <b>303,050</b>  | <b>754,420</b> | <b>300,850</b> | <b>471,290</b>  | <b>247,078</b>  | <b>399,355</b>  | <b>433,299</b>  | <b>429,539</b>  | <b>167,019</b>  |
| დღემდე აღიარებული<br>სამშენებლო კონტრაქტების<br>ხარჯები      | 585,017          | 1,289,614        | 475,295        | 321,405        | 438,354        | 376,811         | 619,728        | 300,680        | 503,118         | 235,431         | 407,767         | 361,823         | 439,119         | 182,671         |
| შემცირებული: აღიარებული<br>წინა პერიოდებში                   | -                | -                | -              | -              | -              | -               | -              | -              | -               | -               | -               | -               | -               | -               |
| <b>წლის ხარჯები სამშენებლო<br/>კონტრაქტებზე</b>              | <b>585,017</b>   | <b>1,289,614</b> | <b>475,295</b> | <b>321,405</b> | <b>438,354</b> | <b>376,811</b>  | <b>619,728</b> | <b>300,680</b> | <b>503,118</b>  | <b>235,431</b>  | <b>407,767</b>  | <b>361,823</b>  | <b>439,119</b>  | <b>182,671</b>  |
| დღემდე აღიარებული<br>სამშენებლო კონტრაქტების<br>ხარჯები      | 585,017          | 1,289,614        | 475,295        | 321,405        | 438,354        | 376,811         | 619,728        | 300,680        | 503,118         | 235,431         | 407,767         | 361,823         | 439,119         | 182,671         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდამდე<br/>აღიარებული მოგება</b>        | <b>425,696</b>   | <b>45,977</b>    | <b>86,053</b>  | <b>39,619</b>  | <b>38,258</b>  | <b>(73,761)</b> | <b>134,692</b> | <b>170</b>     | <b>(31,828)</b> | <b>11,646</b>   | <b>(8,411)</b>  | <b>71,476</b>   | <b>(9,581)</b>  | <b>(15,652)</b> |
| დღემდე აღიარებული<br>შემოსავალი სამშენებლო<br>კონტრაქტებიდან | 1,010,713        | 1,335,591        | 561,348        | 361,024        | 476,612        | 303,050         | 754,420        | 300,850        | 471,290         | 247,078         | 399,355         | 433,299         | 429,539         | 167,019         |
| შემცირება: მიღებული ფულადი<br>გადახდებით                     | (1,216,526)      | (1,826,622)      | (544,789)      | (350,374)      | (462,552)      | (294,110)       | (732,164)      | (291,975)      | (457,387)       | (239,789)       | (260,050)       | (285,006)       | (193,872)       | (162,092)       |
| მოთხოვნა კლიენტების მიმართ                                   | -                | -                | 14,034         | 9,026          | 11,915         | 7,576           | 18,861         | 7,521          | 11,782          | 6,177           | 118,055         | 125,672         | 199,717         | 4,175           |
| დღგ განაკვეთი                                                | 18%              | 18%              | 18%            | 18%            | 18%            | 18%             | 18%            | 18%            | 18%             | 18%             | 18%             | 18%             | 18%             | 18%             |
| <b>საკონტრაქტო მოთხოვნა</b>                                  | <b>-</b>         | <b>-</b>         | <b>16,560</b>  | <b>10,650</b>  | <b>14,060</b>  | <b>8,940</b>    | <b>22,255</b>  | <b>8,875</b>   | <b>13,903</b>   | <b>7,289</b>    | <b>139,305</b>  | <b>148,293</b>  | <b>235,666</b>  | <b>4,927</b>    |
| <b>საკონტრაქტო ვალდებულება</b>                               | <b>(205,812)</b> | <b>(491,031)</b> | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>        | <b>-</b>       | <b>-</b>       | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        |
| პროექტის დასრულების სტადია                                   | 18%              | 12%              | 100%           | 99%            | 100%           | 100%            | 103%           | 99%            | 100%            | 99%             | 95%             | 49%             | 100%            | 100%            |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

| 2020 წლის პროექტები<br>(გაგრძელება)                                       | პროექტი #<br>15 | პროექტი<br># 16 | პროექტი<br># 17 | პროექტი<br># 18 | პროექტი #<br>19 | პროექტი #<br>20 | პროექტი #<br>29  | პროექტი<br># 30  | პროექტი #<br>31   | პროექტი<br># 33 | პროექტი<br># 41 | სხვა პროექტები   | სულ               |
|---------------------------------------------------------------------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|-----------------|------------------|------------------|-------------------|-----------------|-----------------|------------------|-------------------|
| დღემდე აღიარებული<br>შემოსავალი სამშენებლო<br>კონტრაქტებიდან              | 153,902         | 231,135         | 169,477         | 85,921          | 83,148          | 82,009          | 6,226,252        | 2,932,618        | 11,841,573        | 474,794         | 90,663          | 13,483,275       | 43,105,956        |
| აღიარებული წინა პერიოდებში                                                | -               | -               | -               | -               | -               | -               | 928,988          | 942,822          | 58,144            | 474,794         | 26,853          | 13,134,082       | 15,565,683        |
| <b>წლის შემოსავალი<br/>სამშენებლო კონტრაქტებიდან</b>                      | <b>153,902</b>  | <b>231,135</b>  | <b>169,477</b>  | <b>85,921</b>   | <b>83,148</b>   | <b>82,009</b>   | <b>5,297,264</b> | <b>1,989,796</b> | <b>11,783,429</b> | <b>-</b>        | <b>63,809</b>   | <b>349,193</b>   | <b>27,540,273</b> |
| დღემდე აღიარებული<br>სამშენებლო კონტრაქტების<br>ხარჯები                   | 150,833         | 212,647         | 103,647         | 79,733          | 73,754          | 82,203          | 5,246,241        | 2,520,862        | 11,464,493        | 245,919         | 137,478         | 11,129,878       | 37,984,522        |
| შემცირებული: აღიარებული<br>წინა პერიოდებში                                | -               | -               | -               | -               | -               | -               | 896,529          | 923,540          | 77,699            | 245,919         | 11,396          | 10,911,486       | 13,066,568        |
| <b>წლის ხარჯები სამშენებლო<br/>კონტრაქტებზე</b>                           | <b>150,833</b>  | <b>212,647</b>  | <b>103,647</b>  | <b>79,733</b>   | <b>73,754</b>   | <b>82,203</b>   | <b>4,349,712</b> | <b>1,597,321</b> | <b>11,386,794</b> | <b>-</b>        | <b>126,083</b>  | <b>218,393</b>   | <b>24,917,954</b> |
| დღემდე აღიარებული<br>სამშენებლო კონტრაქტების<br>ხარჯები                   | 150,833         | 212,647         | 103,647         | 79,733          | 73,754          | 82,203          | 5,246,241        | 2,520,862        | 11,464,493        | 245,919         | 137,478         | 11,129,878       | 37,984,522        |
| <b>საანგარიშგებო პერიოდამდე<br/>აღიარებული მოგება</b>                     | <b>3,069</b>    | <b>18,488</b>   | <b>65,830</b>   | <b>6,188</b>    | <b>9,394</b>    | <b>(194)</b>    | <b>980,011</b>   | <b>411,757</b>   | <b>377,080</b>    | <b>228,875</b>  | <b>(46,816)</b> | <b>2,353,397</b> | <b>5,121,434</b>  |
| დღემდე აღიარებული<br>შემოსავალი სამშენებლო<br>კონტრაქტებიდან              | 153,902         | 231,135         | 169,477         | 85,921          | 83,148          | 82,009          | 6,226,252        | 2,932,618        | 11,841,573        | 474,794         | 90,663          | 13,483,275       | 43,105,956        |
| შემცირება: მიღებული<br>ფულადი გადახდებით<br>მოთხოვნა კლიენტების<br>მიმართ | (149,362)       | (224,316)       | (164,478)       | (83,386)        | (80,695)        | (79,590)        | (6,042,578)      | (2,904,708)      | (11,142,920)      | (446,782)       | (86,276)        | (12,650,916)     | (41,373,314)      |
| დღგ განაკვეთი                                                             | 3,848           | 5,778           | 4,237           | 2,148           | 2,079           | 2,050           | 155,656          | 23,653           | 592,079           | 23,740          | 3,717           | 705,389          | 2,058,886         |
|                                                                           | 18%             | 18%             | 18%             | 18%             | 18%             | 18%             | 18%              | 18%              | 18%               | 18%             | 18%             | 18%              |                   |
| <b>საკონტრაქტო მოთხოვნა</b>                                               | <b>4,540</b>    | <b>6,818</b>    | <b>5,000</b>    | <b>2,535</b>    | <b>2,453</b>    | <b>2,419</b>    | <b>183,674</b>   | <b>27,910</b>    | <b>698,653</b>    | <b>28,013</b>   | <b>4,386</b>    | <b>832,359</b>   | <b>2,429,485</b>  |
| <b>საკონტრაქტო ვალდებულება</b>                                            | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>         | <b>-</b>         | <b>-</b>          | <b>-</b>        | <b>-</b>        | <b>-</b>         | <b>(696,843)</b>  |
| პროექტის დასრულების სტადია                                                | 100%            | 98%             | 100%            | 99%             | 98%             | 97%             | 100%             | 86%              | 95%               | 4%              | 100%            | 98%              |                   |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
ფინანსური ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

## 5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                            | 2021             | 2020             |
|--------------------------------------------|------------------|------------------|
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი  | 1,448,037        | 1,540,573        |
| შეკეთებისა და მოვლის ხარჯები, არაპირდაპირი | 500,595          | 48,597           |
| ბანკის მომსახურების ხარჯი                  | 89,095           | 6,287            |
| საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება    | 35,292           | 30,776           |
| ცვება და ამორტიზაცია                       | 8,004            | 27,325           |
| კომუნალური გადასახადები                    | 19,755           | 19,590           |
| ქონების დაზღვევის ხარჯი                    | 11,745           | 4,129            |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი                 | 332,225          | 926,138          |
| <b>სულ</b>                                 | <b>2,444,748</b> | <b>2,603,415</b> |

## 6. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 29,000 ლარი (2020: 13,667 ლარი), ხოლო მთლიანად განაწილებული დივიდენდების თანხამ - 1,057,896 ლარი (2020: 481,054 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

7. ძირითადი საშუალებები

|                                         | მინა           | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ                |
|-----------------------------------------|----------------|-----------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|--------------------|
| <b>თვითღირებულება</b>                   |                |                       |                         |                       |                             |                    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>270,940</b> | <b>253,679</b>        | <b>2,085,326</b>        | <b>77,950</b>         | <b>7,819,267</b>            | <b>10,507,163</b>  |
| შეძენა                                  | -              | 522                   | 203,588                 | 3,140                 | 560,167                     | 767,417            |
| ჩამონერა                                | -              | -                     | -                       | -                     | -                           | -                  |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>270,940</b> | <b>254,201</b>        | <b>2,288,914</b>        | <b>8,190</b>          | <b>8,379,434</b>            | <b>11,274,579</b>  |
| შეძენა                                  | -              | -                     | 14,570                  | 1,160                 | 177,368                     | 193,098            |
| ჩამონერა                                | -              | -                     | -                       | -                     | (222,046)                   | (222,046)          |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>270,940</b> | <b>254,201</b>        | <b>2,303,484</b>        | <b>82,250</b>         | <b>8,334,756</b>            | <b>11,245,631</b>  |
| <b>აკუმულირებული ცვეთა</b>              |                |                       |                         |                       |                             |                    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>-</b>       | <b>(86,952)</b>       | <b>(1,276,044)</b>      | <b>(43,606)</b>       | <b>(4,740,082)</b>          | <b>(6,146,685)</b> |
| ცვეთა                                   | -              | (9,270)               | (72,309)                | (7,371)               | (595,460)                   | (684,409)          |
| ჩამონერილი ძირითადი საშუალების<br>ცვეთა | -              | -                     | -                       | -                     | -                           | -                  |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>-</b>       | <b>(96,222)</b>       | <b>(1,348,353)</b>      | <b>(50,977)</b>       | <b>(5,335,542)</b>          | <b>(6,831,094)</b> |
| ცვეთა                                   | -              | (8,746)               | (76,143)                | (6,221)               | (497,309)                   | (588,419)          |
| ჩამონერილი ძირითადი საშუალების<br>ცვეთა | -              | -                     | -                       | -                     | 188,428                     | 188,428            |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>-</b>       | <b>(104,968)</b>      | <b>(1,424,496)</b>      | <b>(57,198)</b>       | <b>(5,644,423)</b>          | <b>(7,231,085)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>      |                |                       |                         |                       |                             |                    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>270,940</b> | <b>166,727</b>        | <b>809,282</b>          | <b>34,344</b>         | <b>3,079,185</b>            | <b>4,360,478</b>   |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>270,940</b> | <b>157,979</b>        | <b>940,561</b>          | <b>30,113</b>         | <b>3,043,892</b>            | <b>4,443,485</b>   |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>           | <b>270,940</b> | <b>149,233</b>        | <b>878,988</b>          | <b>25,052</b>         | <b>2,690,333</b>            | <b>4,014,546</b>   |

2021 წელს კომპანიამ გაყიდა 33,618 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები 70,072 ლარიანი მოგებით. კომპანიის ბალანსზე არ ფიქსირდება სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

#### 8. საინვესტიციო ქონება

|                                        | საინვესტიციო<br>ქონება | სულ      |
|----------------------------------------|------------------------|----------|
| <b>თვითღირებულება</b>                  |                        |          |
| 2019 წლის 31 დეკემბერი                 | 274,757                | 274,757  |
| შეძენა                                 | 459                    | 459      |
| გასვლა/გაყიდვა                         | -                      | -        |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                 | 275,216                | 275,216  |
| შეძენა                                 | -                      | -        |
| გასვლა/გაყიდვა                         | -                      | -        |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                 | 275,216                | 275,216  |
| <b>აკუმულირებული ცვეთა</b>             |                        |          |
| 2019 წლის 31 დეკემბერი                 | (60,299)               | (60,299) |
| ცვეთა                                  | (10,685)               | (10,685) |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                 | (70,984)               | (70,984) |
| ცვეთა                                  | (10,152)               | (10,152) |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                 | (81,136)               | (81,136) |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b> |                        |          |
| 2019 წლის 31 დეკემბერი                 | 214,457                | 214,457  |
| 2020 წლის 31 დეკემბერი                 | 204,232                | 204,232  |
| 2021 წლის 31 დეკემბერი                 | 194,080                | 194,080  |

შენიშვნა განლაგებულია შემდეგ მისამართზე: ქ.გორი, ცხინვალის გზატკეცილი (სავაჭრო ცენტრი) მე-2 კმ.შენიშვნის მთლიანი ფართი შეადგენს 727 მ2-ს, საიდანაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაქირავებული იყო 395მ². 2021 წელს აღნიშნული ქონების გაქირავებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 40,141 ლარი.

#### 9. არამატერიალური აქტივები

|                                      | ლიცენზია | სხვა<br>არამატერიალური<br>აქტივები | სულ      |
|--------------------------------------|----------|------------------------------------|----------|
| <b>ისტორიული ღირებულება</b>          |          |                                    |          |
| 2019 წლის 31 დეკემბერი               | 151,414  | 3,355                              | 154,769  |
| შეძენა                               | -        | -                                  | -        |
| გასვლა/გაყიდვა                       | -        | -                                  | -        |
| 2020 წლის 31 დეკემბერი               | 151,414  | 3,355                              | 154,769  |
| შეძენა                               | -        | -                                  | -        |
| გასვლა/გაყიდვა                       | -        | -                                  | -        |
| 2021 წლის 31 დეკემბერი               | 151,414  | 3,355                              | 154,769  |
| <b>აკუმულირებული<br/>ამორტიზაცია</b> |          |                                    |          |
| 2019 წლის 31 დეკემბერი               | (89,556) | (2,434)                            | (91,990) |
| ამორტიზაცია                          | (9,279)  | (138)                              | (9,417)  |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

|                                    |                  |                |                  |
|------------------------------------|------------------|----------------|------------------|
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>(98,835)</b>  | <b>(2,572)</b> | <b>(101,407)</b> |
| ამორტიზაცია                        | (7,887)          | (117)          | (8,004)          |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>(106,722)</b> | <b>(2,689)</b> | <b>(109,411)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b> |                  |                |                  |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>61,858</b>    | <b>921</b>     | <b>62,779</b>    |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>52,579</b>    | <b>783</b>     | <b>53,362</b>    |
| <b>2021 წლის 31 დეკემბერი</b>      | <b>44,692</b>    | <b>666</b>     | <b>45,358</b>    |

## 10. მარაგები

|                            | <b>31 დეკემბერი<br/>2021</b> | <b>31 დეკემბერი<br/>2020</b> |
|----------------------------|------------------------------|------------------------------|
| ნედლეული                   | 1,375,453                    | 811,822                      |
| დაუმთავრებელი წარმოება     | 418,080                      | 582,779                      |
| მზა პროდუქცია              | 324,591                      | 430,757                      |
| საწვავი და საპოხი მასალები | 31,911                       | 61,016                       |
| სხვა მარაგები              | 313,139                      | 279,883                      |
| <b>სულ მარაგები</b>        | <b>2,463,174</b>             | <b>2,166,257</b>             |

2021 წლის განმავლობაში მარაგები ძირითადი მასალების სახით 12,319,387 ლარის თვითღირებულებით, (2020: 6,393,713 ლარი) აღიარდა განეული სამუშაოების და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულებაში (იხილეთ შენიშვნა 4).

## 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                                                                      | <b>31 დეკემბერი<br/>2021</b> | <b>31 დეკემბერი<br/>2020</b> |
|--------------------------------------------------------------------------------------|------------------------------|------------------------------|
| * სავაჭრო მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ                                        | 2,406,752                    | 1,835,429                    |
| ** მოთხოვნები სამშენებლო კონტრაქტებიდან და დამკვეთისაგან მისაღები დაკავებული თანხები | 1,692,789                    | 3,054,463                    |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ                                                | -                            | 117                          |
| <b>სავაჭრო მოთხოვნები რეზერვებამდე</b>                                               | <b>4,099,541</b>             | <b>4,890,009</b>             |
| საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი                                                          | (1,515,364)                  | (1,025,915)                  |
| <b>სავაჭრო მოთხოვნები რეზერვების შემდგომ</b>                                         | <b>2,584,177</b>             | <b>3,864,094</b>             |
| გადახდილი ავანსები                                                                   | 277,184                      | 309,952                      |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>                                                | <b>2,861,361</b>             | <b>4,174,046</b>             |

\*სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს მასალების რეალიზაციით დარიცხულ მოთხოვნებს, საიჯარო მომსახურების გაწევისა და სხვა მოთხოვნებს.

\*\* დამკვეთებისაგან მისაღები თანხები მოიცავს თანხებს, რომლებიც კომპანიას უკავდება კონტრაქტის საგარანტიო ვადის გასვლამდე.

### საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

|                                             |                |                |               |                |             |                |
|---------------------------------------------|----------------|----------------|---------------|----------------|-------------|----------------|
| ვადაგაცილებული დღეები                       | < 30           | 31-90          | 91-180        | 181-360        | >360        | სულ            |
| ვადაგაცილების დღეების რეზერვის პროცენტულობა | 0%             | 5%             | 25%           | 50%            | 100%        | -              |
| მოთხოვნები                                  | 707,330        | 37,574         | 42,187        | 233,445        | 1,386,216   | 2,406,752      |
| გაუფასურება                                 | -              | (1,879)        | (10,547)      | (116,723)      | (1,386,216) | (1,515,364)    |
| <b>სულ წმინდა მოთხოვნები</b>                | <b>707,330</b> | <b>35,695</b>  | <b>31,640</b> | <b>116,723</b> | <b>-</b>    | <b>891,388</b> |
| ვადაგაცილებული დღეები                       | < 30           | 31-90          | 91-180        | 181-360        | >360        | სულ            |
| ვადაგაცილების დღეების რეზერვის პროცენტულობა | 0%             | 5%             | 25%           | 50%            | 100%        | -              |
| მოთხოვნები                                  | 112,290        | 552,021        | 107,309       | 184,644        | 879,165     | 1,835,429      |
| გაუფასურება                                 | -              | (27,601)       | (26,827)      | (92,322)       | (879,165)   | (1,025,915)    |
| <b>სულ წმინდა მოთხოვნები</b>                | <b>112,290</b> | <b>524,420</b> | <b>80,482</b> | <b>92,322</b>  | <b>-</b>    | <b>809,514</b> |

## 12. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                          | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|------------------------------------------|----------------------|----------------------|
| ფული სალაროში                            | 115,579              | 154,428              |
| ფული ლარში მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე | 401,931              | 1,113,214            |
| ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში   | 2,667                | 863                  |
| მოთხოვნამდე ანაბარი                      | 529,601              | 472,499              |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>   | <b>1,049,778</b>     | <b>1,740,914</b>     |

მოთხოვნამდე ანაბარი განთავსებულია „სს ბაზის ბანკში“ ეროვნულ ვალუტაში. დეპოზიტზე მიღებულმა შემოსავალმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 15,738 ლარი (2020: 8,360 ლარი).

საბანკო დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 2.75%-ით და ერიცხება პროცენტი დღის ბოლოს ასეულ ნაშთზე ყოველდღიურად.

## 13. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების თანახმად, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 1,070,349 ლარით, რომელიც შევსებულია მფლობელთა შენატანებით კომპანიის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე.

დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით კომპანიამ 2021 წლის განმავლობაში დივიდენდად გამოაცხადა და გასცა 1,057,896 ლარი (2020: 481,054 ლარი).

## 14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                       | 31 დეკემბერი<br>2021 | 31 დეკემბერი<br>2020 |
|-----------------------|----------------------|----------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 2,243,567            | 2,862,347            |

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო N1“

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

|                                          |                  |                  |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| მიღებული ავანსი კონტრაქტის ფარგლებში     | 1,753,987        | 696,843          |
| გადასახდელი ხელფასები                    | 249,275          | 1,337            |
| სხვა ავანსები                            | 33,263           | -                |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>4,280,092</b> | <b>3,560,527</b> |

სავაჭრო ვალდებულებების ნაშთი შედგება შესყიდულ მასალებზე მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხებისაგან, საოპერაციო იჯარების დავალიანებებისგან და სხვა გადასახდელებისგან.

#### 15. წმინდა საგადასახადო პოზიცია

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს წმინდა საგადასახადო აქტივი 121,740 ლარის ოდენობით (2020: წმინდა საგადასახადო ვალდებულება 185,685 ლარის ოდენობით).

#### 16. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის 50%-იან წილს ფლობს შოთა აბულაძე, ხოლო ნუგზარ და ნუკრი აბალაძეები 25-25%-ს.

|                                             | 2021                     | 2020                     |
|---------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| <b>ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან</b> |                          |                          |
| შემოსავლები                                 | 213,409                  | 75,718                   |
| მარაგების შეძენები და ხარჯები               | 283,994                  | 157,138                  |
| <b>ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან</b>      | <b>31 დეკემბერი 2021</b> | <b>31 დეკემბერი 2020</b> |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები     | 983,926                  | 739,359                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები  | 821,531                  | 777,008                  |

ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2021 წელს შეადგინა 281,250 ლარი (2020: 667,500 ლარი).

#### 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2022 წლის იანვარიდან სექტემბრის ჩათვლით კომპანიამ გამოაცხადა და გასცა დივიდენდი დამფუძნებლებზე 648,788 ლარის ოდენობით.

2022 წლის იანვარიდან სექტემბრის ჩათვლით კომპანიამ აიღო სესხად 500,000 ლარი.

მმართველობის ანგარიშგება  
2021 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა  
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებათა ერთად

შინაარსი

**დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან**

|                                                                                                                            |          |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------|
| <b>შესაბამისობაზე .....</b>                                                                                                | <b>3</b> |
| <b>1. ზოგადი ინფორმაცია.....</b>                                                                                           | <b>5</b> |
| 1.1. კომპანიის შესახებ.....                                                                                                | 5        |
| 1.2. დარგის მიმოხილვა .....                                                                                                | 5        |
| 1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.....                                                                                  | 5        |
| 1.4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ .....                                                                         | 6        |
| 1.5. ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ.....                                                           | 6        |
| <b>2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები.....</b>                                                              | <b>6</b> |
| 2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები.....                                                                                   | 6        |
| 2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების<br>აღწერილობა .....                                  | 6        |
| 2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა<br>კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა..... | 8        |
| <b>3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა .....</b>                                                                         | <b>8</b> |
| <b>4. სოციალური და დასაქმების საკითხები .....</b>                                                                          | <b>9</b> |

**დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2022 წლის 28 სექტემბერი

## დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება, რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით, რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

*RSM Georgia*

2022 წლის 28 სექტემბერი



## 1. ზოგადი ინფორმაცია

### 1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაცია „№1 საგზაო-სამშენებლო სამმართველო“ დაფუძნდა 1995 წელს. 1998 წლის 8 მაისს განხორციელდა აღნიშნული ორგანიზაციის პრივატიზაცია და დღეის მდგომარეობით მას ეწოდება შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“. კომპანია დარეგისტრირებულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 პუნქტის თანახმად.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენენ საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, მათ შორის: გზების, ხიდების, ნაპირგამაგრებითი ნაგებობების მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია, გზების პერიოდული რემონტი და შენახვა. ძირითადი დამკვეთი არის სსიპ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ა ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი მე-2 კმ.

კომპანიის აქციონერთა სტრუქტურა შემდეგნაირია:

50% – შოთა აბულაძე (პ.ნ. 59001000749);

25% – ნუგზარ აბალაძე (პ.ნ. 59001023356);

25% – ნუკრი აბალაძე (პ.ნ. 59001002755).

### 1.2. დარგის მიმოხილვა

დარგის ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. ამის ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის ხედვა, განავითაროს ინფრასტრუქტურა. წლიდან წლამდე იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა. გამომდინარე აქედან, ბაზარი არის ძალიან დიდი. ტენდერში მონაწილეობა არის გართულებული, მაღალია კონკურენცია. ითხოვენ გარკვეულ პირობებს, რომლებიც არც ისე იოლია კომპანიისთვის. არის სპეციფიკური გამოცდილების მოთხოვნა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მაშტაბით დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა.

კომპანია არის ტენდერების თეთრ სიაში, რომელიც გულისხმობს კომპანიისთვის გარკვეულწილ შეღავათებს. კომპანია ბაზარზე ფუნქციონირებს 25 წელი, აქედან გამომდინარე კომპანიას დაუგროვდა დიდი გამოცდილება ამ სფეროში, განხორციელებული გვაქვს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტი.

### 1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. მტკიცე საგადამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან:

საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაცია კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი. კომპანიის წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება კომპანიის მდგრადობის ხელშეწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

#### 1.4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

#### 1.5. ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში არ უწარმოებია კვლევები.

### 2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები

#### 2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების განახლება.

საწარმომ 2021 წლის განმავლობაში შეიძინა და ექსპუატაციაში გაუშვა ფრონტალური დამტვირთველი XCMG ZL50GN, რომლის შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 179,877 ლარი.

საწარმომ 2020 წლის განმავლობაში შეიძინა და ექსპუატაციაში გაუშვა ასფალტის გამშლელი / დამყრელი დანადგარი GRAWLER PAVER VOLVO ABG 6820C, რომლის შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 508,060 ლარი.

#### 2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, წარმოადგენს: დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

**ქვეყნის და რეგიონალური რისკები:** ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

**ფინანსური რისკები:** თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

**ინფლაცია და სავალუტო რისკი:** კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში.

**საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები:** შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

**გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები:** გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს კრედიტორების, მწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

**სამართლებრივი რისკები:** სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

დარგობრივ რისკებთან ერთად საგულისხმოა, ასევე მიმდინარე კორონავირუსის პანდემია, მისით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის შენელება და მისი პოტენციური ეფექტები კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე.

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიწვია ლოჯისტიკური ჯაჭვებისა და როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება. ამასთანავე, ამ მოვლენამ გაზარდა სამომავლო რისკის განუსაზღვრელობის და მისი არიდების/შემცირების ტენდენციები. პანდემიასთან დაკავშირებული, არსებული, ადგილობრივი და გლობალური მოვლენების მიხედვით გავითვალისწინეთ სამომავლო რისკები კომპანიისათვის.

კომპანიის საოპერაციო სფეროსა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელოვნების სამშენებლო კონტრაქტები, მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის ფონზე კომპანიას არ შეექმნება ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძობს ფუნქციონირებას.

### 2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდათ ადგილი საანგარიშო პერიოდში, გარდა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

უფლებები და ვალდებულებები – კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე, გარდა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარდა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად – არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, გარდა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

წარდგენა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია, გარდა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოდიფიცირებულ მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

### 3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას. საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;

- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;

- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

#### 4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“

28 სექტემბერი, 2022 წელი

|                      |                |       |
|----------------------|----------------|-------|
| გენერალური დირექტორი | შოთა აბულაძე   | _____ |
| მთავარი ბუღალტერი    | ზურა სამხარაძე | _____ |

- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

#### 4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას, რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“

28 სექტემბერი, 2022 წელი

გენერალური დირექტორი

შოთა აბულაძე

მთავარი ბუღალტერი

ზურა სამხარაძე